პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 7 აპრილი 1978 წ. □ № 82 (17126) □ ფასი 2 კაპ.

ახლოვდება ლენინური შაბათობა

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის 3.500 მშრომელი მიიღებს მონაწილეობას ლენინურ შაბათობაში. ყველა ქვეგანაყოფში, სამჭროში, განყოფილებებსა და სამსახურებში ფართოდ არის გაჩაღებული მზადება ამ კამპანიისათვის.

22 აპრილს დღიური დავალების გადამეტებით გამოუშვებენ ათობით და ასობით ტონა კოქსს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს; ძირითად მოწყობილობათა რემონტის დროს ამ დღეს გამოიმუშავებენ 6 ათას კაცსაათს, ხოლო ჩარხების რემონტის დროს — 500-ჩარხსაათს; 45 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოაწყობენ და გაამწვანებენ ქარხნისა და აღლუჯის პროფილაქტორიუმის ტერიტორიებს.

შაბათობაზე გამომუშავებული თანხიდან 6 ათას მანეთს მეტალურგები ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ზუგდიდი. მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას 22 აპრილს ლენინის დაბადების 108-ე წლისთავის აღსანიშნავად კომუნისტური შაბათობის მოწყობისათვის აქტიურად გამოეხმაურა ქალაქ ზუგდიდის ათასობით მუშა-მოსამსახურე.

სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტში [illegible] ინვენტარიზაციონი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

„საქართველოს სსრ მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით“.

(საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიდან).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ

კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია დაამტკიცებს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას. ეს იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენს ცხოვრებაში.

გვეამაყება, როცა ვხედავთ, თუ რა დიდ დაინტერესებას, სიხარულს, შრომითს ენთუზიაზმს იწვევს კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. მიტინგები, კრებები, საჯარო საუბრები, რაც თან მოჰყვა კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას იმის უტყუარი დასტურია, რომ ხალხი იწონებს, პატივს სცემს ახალ კონსტიტუციას — სახელმწიფოს ძირითად კანონს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი, როგორც თავანკარა წყარო, ხათავეს იღებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან, ხელმძღვანელობს კომუნიზმის მაღალი იდეალებით.

ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან. ჭეშმარიტად დიდი იყო დროის ამ მცირე მონაკვეთში გავლილი გზა, აყვავდა სახალხო მეურნეობა და კულტურა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გარდაიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, ამენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ყველა ეს ცვლილება ჯერ-ოროვნად უნდა ასახულიყო ახალი კონსტიტუციის პროექტში, და კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის სასახეოოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გადაწყვიტა ეს საპატიო და პასუხსაგები ამოცანა.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი — სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ეს კანონი სავსებით დამაჯერებლად ასახავს რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ნიშან-თვისებებს, საბჭოთა დემოკრატიზმს, ადამიანთა დიდ უფლებრივ მდგომარეობას.

პროექტში შესანიშნავად არის მოცემული ხალხთა მეგობრობის პრინციპები, ამდენად იგი ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის შერწყმის მკაფიო ნიმუშს იძლევა.

„საქართველოს სსრ სხვადასხვა რასიისა და ეროვნების მოქალაქეებს, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, — თანასწორი უფლებები აქვთ. ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარება და დაახლოების პოლიტიკა. მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“...

ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ ძირითად პრინციპებს წინანდებურად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის სწორედ ჩვენი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ოვალსაჩინო საბუთი.

გვინდა გავიმეოროთ კონსტიტუციის პროექტის პირველ თავში ნაწერილი სიტყვები, რომ ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

ჩვენ გვწამს, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია კვლავაც გაგვიძღვება გამარჯვების გზით. პარტიისა და ხალხის ნება, მიზანი და ერთიანობა ურყევია.

ჩვენ, პარტიის ვეტერანები სავსებით ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს.

პარტიის ვეტერანთა სახელით:
სკკპ წევრი 1917 წლიდან — **ვ. ნადარეიშვილი**; სკკპ წევრები 1918 წლიდან — **ი. მონიავა, პ. ძერძაძე, გ. ყურაშვილი**; სკკპ წევრები 1919 წლიდან — **ს. ხასაია, შ. ჟაჯაია**; სკკპ წევრები 1920 წლიდან — **ვ. ტყაბლაძე, ნ. მარდალეიშვილი**; სკკპ წევრები 1921 წლიდან—**ე. არუთინოვა, ბ. ჯაფი.**

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ

როცა საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას კითხულობ, უნებლიედ ფიქრობ-იმ დიდ გამარჯვებაზე, რომლებსაც ჩვენმა მრავალეროვანმა ქვეყანამ მოკლე ისტორიულ პერიოდში მიაღწია, როცა საქართველო აგრარული, ჩამორჩენილი კუთხიდან მძლავრი მრეწველობის, მაღალგანვითარებული მეცნიერების რესპუბლიკად იქცა. ყოველივე ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა.

საბჭოთა ცხოვრების წესის გამარჯვების ნათელი მაგალითია ტყიბულელ მეშახტეთა დღეგანდელობა. სადღაც ერთ დროს აქ გამეფებული სიდუხჭირე, შრომის მძიმე პირობები. მეშახტეების განკარგულებაშია მძლავრი სამთო ტექნიკით აღჭურვილი სანგრევები, მექანიზებული და ავტომატიზებულია შრომატევადი პროცესები. ქალაქში ერთ-ერთი უდიდესი მექანიზებული საწარმოა ჩვენი ფაბრიკა. აქ მთლიანად აღმოფხვრილია ხელით შრომა, ყოველგვარ სამუშაოს მანქანები ასრულებენ.

აი რა მოგვცა მოქმედმა კონსტიტუციამ, რომლის ყოველ მუხლს საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ტყიბულელი მეშახტეებიც განუხრელად იცავდნენ და ასრულებდნენ. ისინი პირობას დებენ, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის ყოველი მოთხოვნაც მათთვის კანონი იქნება.

ვ. აბესაძე,
ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ოქტიბერს წინ, 1977 წლის 7 ოქტომბერს სსრ კავშირმა მიიღო მთელი საბჭოთა ხალხისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული განვითარებული სოციალიზმის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე ინტერნაციონალური კონსტიტუცია. ეს არის ლენინური. ეროვნული პოლიტიკის ახალი გამარჯვება, ნამდვილი ზეიმი, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის ერთი წლის თავზე, იხილავდა რა ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატიის თანაფარდობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „მსუნს ყველგან, დემოკრატიულ საფრანგეთში, შეიცარიაში, ინგლისსა და ამერიკაში, ასწილად უფრო ფართოდ და უფრო ოსტატურად ატყუებენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საბჭოთა ხელისუფლებამ რევოლუციურად ჩამოგლიჯა საიდუმლოების საბურველი საგარეო პოლიტიკას... პროლეტარული დემოკრატია **მილიონჯერ** უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია; საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა“.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია თავიდან ბოლომდე თანამიმდევრულად იცავს და ავითარებს რუსეთის სფსრ 1918, სსრ კავშირის 1924 და 1936 წლების კონსტიტუციების, აგრეთვე მიმძიმე სოციალისტური ქვეყნების დემოკრატიულ ინტერნაციონალისტურ მემკვიდრეობას და აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უფრმესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები განახორციელა, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა, კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმი, დაამყარა სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა ურღვევი მეგობრობა, უზრუნველყო **საბჭოთა ხალხის** როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული, სოციალურ-ინტერნაციონალური ერთობის ჩამოყალიბება და განვითარება. საბჭოთა ხალხი მზოლოდ მეზობელი, ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ერების უბრალო ჯამი როდია. საბჭოთა ადამიანებს, ეროვნების მიუხედავად, აქვთ ბევრი საერთო ნიშანი, რომლებიც აერთიანებს მათ ერთ მონოლითურ მთლიანობად, და, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მიგვითითებს, „როცა ვლაპარაკობთ ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობაზე, სულაც არ გვაქვს მხედველობაში, რომ ჩვენში უკვე ქრება ეროვნული სხვაობანი, ან მით უმეტეს, მოხდა ერთა შერწყმა. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ერი და ეროვნება ინარჩუნებს საკუთარ თავისებურებებს, ეროვნული ხასიათის ნიშნებს, ენას, საუკეთესო ტრადიციებს; მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ მიაღწიონ თავიანთი ეროვნული კულტურის უფრო მეტ აყვავებას“.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახალი დიდი გამარჯვებაა აგრეთვე ის, რომ სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმი სოციალისტურ ინტერნაციონალიზმად განვითარდა, რომლის საფუძველზე მტკიცდება ძმური თანამეგობრობა სოციალიზმის ქვეყნებს შორის.

უდიდესი ეროვნული, ეშმარიტად ინტერნაციონალისტური მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებს, რომელთა პროექტები უკვე გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) ყოველთვის შეესაბამებოდა სსრ კავშირის ყველა კონსტიტუციას და ითვალისწინებდა რესპუბლიკის თავისებურებებს. ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის საყოველთაო-სახალხო განხილვა უკვე მიმდინარეობს, მასში ხაზგასმულია უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობის ფაქტი:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორუფლებიან რესპუბლიკად შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც განსახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობისათვის“.

დიდი ეროვნული და ინტერნაციონალური, ფასდაუდებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ახალი კონსტიტუციის პროექტის 68-ე მუხლს, რომელშიც ნათლად და მკაფიოდ ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის და თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობის და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე: რუსეთის ფედერაციულ, უკრაინის, ბელორუსის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ. ამის საფუძველზე საქართველოს სსრ უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებებს. ამ მუხლის ფარგლებს გარეთ კი საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებული როგორც ქართველი სოციალისტური ერის, ისე რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა დიდი უფლება-მოვალეობანი.

მაგალითისათვის განვიხილოთ 75-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებთანაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი ზუსტად ითვალისწინებს ჩვენი ლენინური პარტიის პროგრამულ მოთხოვნებს. სკკპ პროგრამაში ბრწყინვალედ არის განსაზღვრული, რომ პარტია აყენებს ამოცანას „შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თითოეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე.

დედაენასთან ერთად რუსული ენის ნებაყოფლობითი შეისწავლის პროცესს, რაც ცხოვრებაში ხდება, დადებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და თითოეული ერისა და ეროვნებისათვის სსრ კავშირის ყველაზე სხვა ხალხის კულტურული მიღწევებისა და მსოფლიო კულტურის გაცნობას. რუსული ენა ფაქტიურად გახდა ერთა შორის ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა“.

ყოველივე ეს მტკიცდა ემყარება ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას და მთლიანად გამომდინარეობს ლენინური ინტერნაციონალისტური პოლიტიკიდან. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1914 წელს სტატიაში „საჭიროა თუ არა საეალდებულო სახელმწიფო ენა?“ წერდა: სახელმწიფო ენა პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ „მთელი ოფიციალური საქმისწარმოება აუცილებლად სახელმწიფო ენაზე უნდა ხორციელდებოდეს, და არა ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე“.

ყველა იმათ, ვინც რუსულ ენას სახელმწიფო ენად თვლიდა, ვ. ი. ლენინი უპასუხებდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიდი რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: **იძულების** ელემენტი... **სავალდებულო** სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან. ძალით ჩანერგვასთან. ჩვენ ეფიქრობთ, დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯოხის **შიშით** სწავლობდეს ვინმე“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებას რომ ითვალისწინებდნენ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს კანონმდებლურად რომ განამტკიცებდნენ, რუსურ კონსტიტუციები რუსულ ენას არ მიიჩნევდნენ სახელმწიფო ენად, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ რუსული ენა სრული ნებაყოფლობით შეისწავლეს როგორც რუსი, ისე არარუსი ხალხების ფართო მასებმა და დღეს დიდი რუსი სოციალისტური ერის ენა მსოფლიო მნიშვნელობისაა, ჩვენს პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გავითარებული ენაა.

ამრიგად, მომწიფებული სოციალიზმის, ბოლომდე თანამიმდევრული დემოკრატიზმის, როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციები, აღსავსენი უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალით, წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების მძლავრ იარაღს, მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების ურყევ საფუძველს. ესენი არიან მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ინტერნაციონალური დოკუმენტები, რომლებიც კანონმდებლურად ამკვიდრებენ განვითარებული სოციალიზმის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ნათელი მომავლის — მშენებარე კომუნიზმის უძლეველობას.

გ. გრეგაძე,
პროფესორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას რომ შეუდგებიან, პირველსავე მიტინგზე ერთ-ერთმა ვეტერანმა მასწავლებელმა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება უწოდა იმას, რომ მთიანი რაიონის სოფლებში სულ უფრო იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, უმჯობესდება მშობლიური ენის სწავლება.

ჩვენი სკოლის პედაგოგებმა გულდასმით შეისწავლეთ ახალი კონსტიტუციის პროექტი, ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი მის ყოველ პუნქტს, რადგან ჩვენი ცხოვრების ეს ახალი ძირითადი კანონი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის კვლავაც დიდ კეთილდღეობას გვპირდება.

მთიანი სოფლები დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ეს ძალას მატებს ყოველ ჩვენგანს და ახლა, როცა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების ისტორიული დღეებია, მინდა ჩემი კოლეგების სახელით ვთქვა, რომ ვეცდებით ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას ჩვენგან ახალი კონსტიტუცია მოითხოვს, რომ მთელ ჩვენს ცოდნასა და ენერგიას ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ხალხის კეთილდღეობას მოვახმართ.

ლ. გიორგაშვილი,
ონის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

Ვ. ᲙᲝᲡᲢᲔᲪᲙᲘ,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე.

სკკპ XXV ყრილობამ დიდად შეაფასა საბჭოთა ინტელიგენციის საქმიანობა მშრომელთა აღზრდაში. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, შემოქმედებითი კავშირები ყოველნაირად იღვწიან საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვაში სოციალისტური კულტურის როლის ამაღლებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა ამ ამოცანების გადასაწყვეტად. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დღენიადაგ დიდ ყურადღებას უთმობენ კულტურის საკითხებს.

საბჭოთა საზოგადოების კულტურის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებას დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ახალ დიდ შესაძლებლობებს ქმნის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოების ამოცანების გადაწყვეტის, სოფლის კულტურის დაწესებულებათა მთელი საქმიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამ დადგენილების რეალიზაცია, ოდავოდ დიდ გაღლენას მოახდენს სოფლის მოსახლეობის აღზრდის მთელ საქმეზე, მისი კულტურის, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებაზე. ხელს შეუწყობს სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას.

მარტის თამლეგს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ჩათვალისწინებული ღონისძიებები ფართოსაფუძვლიანი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხალხური ტალანტების შემდგომ აყვავებას, მხატვრული თვითმოქმედების მასობრიობის გაზრდას, მისი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია კულტურის მუშაკთა შორის. პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ვალია დაეყრდნონ კულტსაგანმანათლებელო მუშაკების გაზრდილ აქტიურობას და იბრძოლონ „სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებისათვის — განსაკუთრებით სოფლად, ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი საქმიანობის ხარისხიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის“.

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა, რომ ავამაღლოთ ჩვენი მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურის სასახლეებისა და სახლებისათვის, პარკებისათვის, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე სსრ კავშირში კულტურული მშენებლობის უზარმაზარი პროგრამა განხორციელდა. და მიუხედავად ამისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს დასაბუყვანი კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე მთავარი ამოცანაა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენციის ნაწილი, ბევრ ადგილას ხელმძღვანელობენ კულტურულ-საგანმანათლებელ დაწესებულებათა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

ჩვენი აზრით, დღეს საჭიროა გავზარდოთ საკლებო პოლიტიკური ინფორმაციის ოპერატიულობა, გავამდიდროთ ეს ინფორმაცია ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემებით. იგი თართოდ უნდა ასახავდეს რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის, შრომითი კოლექტივის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. უნდა ვეცადოთ ავრეთვე, რომ მშრომელები საკლებო ღონისძიებათა დროს სრულ პასუხს იღებდნენ მათთვის ყველა საინტერესო საკითხზე. საკლებო პოლიტიკური ინფორმაცია უაღრესი კომენტატორული ხასიათისა უნდა იყოს.

ახლა, როცა სულ უფრო მწვავდება, ღრმავდება და რთულდება იდეოლოგიური ბრძოლა საერთაშორისო სარბიელზე, კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებებმა უნდა გააჯანსაღონ მუშაობა იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს, განსაკუთრებით ჰაბუკებსა და ქალაშვილებს, გამოუმუშაონ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ალსაბრი მიდგომა, სწორი წარმოდგენები რევოლუციური ბრძოლის ისტორიაზე, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაზე, ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებებზე.

კვლავაც უნდა სრულყოთ მუზეუმებში საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ექსპოზიციები. ფართოდ ავსახოთ სოციალიზმის განვითარების პრობლემები, ვფიქრობთ, რომ სსრ კავშირში შექმნილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა და ვითარდება ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში კომპლექსურად წყდება ეკონომიკური და სოციალური საკითხები, ეკონომიკაში ხდება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ აგრეთვე ღრმა თვისებრივი ცვლილებები, ფართოდ გაიაზუქოთ საბჭოთა ცხოვრების წესი.

პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გაზარდონ კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებათა როლი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში. მათ თავიანთი ფორმებითა და მეთოდებით ფართოდ უნდა განმარტონ ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა, სისტემატურად მოაწყონ მეგობრობის საღამოები, კინოფესტივალები, თემატური საღამოები — „ჩვენი ძალა ერთობაა“, „ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ“, „ჩემი სამშობლო სსრ კავშირია“, „საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში“ და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ ნებისმიერი ეროვნების საბჭოთა მოქალაქეს ჩაეფიქრაგოთ სიამაყე სოციალისტური სამშობლოსათვის. იმისათვის, რომ იგი ერთიანან, მრავალეროვან საბჭოთა ხალხს ეკუთვნის.

მშრომელთა კომუნისტური აზრდისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე თქვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკები. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის გაცემა გაიზარდა 37 პროცენტით, მეცნიერულ-ტექნიკურისა — 57, მხატვრულისა — 20 პროცენტით. ამასთანავე ისიც უნდა თქვას, რომ ჩვენი ქვეყნის უზარმაზარ წიგნის ფონდს ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ მთლიანად. მცირეა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ფონდების ბრუნვადობა.

აღმზრდელობითის მუშაობაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ საექსკურსიო ორგანიზაციები. მაგრამ მათ მუშაობაშიც არის არსებითი ნაკლოვანებანი, რომელზეც მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო. ზოგერთი ეს ორგანიზაცია ჯეროვან პროპაგანდას არ უწევს რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძეგლებს. ყველგან ფართოდ ვერ გავრცელდა სოფლის მოსახლეობას შორის საექსკურსიო მუშაობა. არცთუ იშვიათად ექსკურსანტებს ცუდად უზრუნველყოფენ ქვებითა და ტრანსპორტით. რიგგანაგან ვერ არის დაყენებული კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა ტურისტულ ბაზებსა და საექსკურსიო მატარებლებში, ჯეროვანად ვერ მუშაობენ ექსკურსიამძღოლების შერჩევისა და სწავლებისათვის. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ პარტიულმა კომიტეტებმა სისტემატური და გულდასმითი ყურადღება უნდა დაუთმონ საექსკურსიო და ტურისტულ ორგანიზაციებს, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ მათი მუშაობისადმი.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. ფესტივალის მსვლელობაში ამაღლდა თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონე, ხოლო მონაწილეთა რაცხვი მილიონ-ნახევრით გაიზარდა. ფესტივალმა ხელი შეუწყო ეროვნული კულტურების ურთიერთობის გაღრმავებას და ურთიერთგამდიდრებას, სსრ კავშირის ხალხთა პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნების თანამეგობრობის განმტკიცებას.

ამასთანავე, ფესტივალის დროს სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში.

ზოგიერთი კოლექტივის რეპერტუარში ჯერ კიდევ ბევრია უღიმღამო, იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოები, იმავეთად შეხვდებით მაღალი მოქალაქეობრივი ყურადღების ნაწარმოებებს, საბჭოთა სიმღერებსა და თანამედროვე სიუჟეტურ ცეკვებს, ნაკლებად არის მომმე მოკავშირე რესპუბლიკებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ავტორთა ნაწარმოებები. რეპერტუარის ჩამოყალიბების დროს ყოველთვის არ ითვალისწინებენ ახალგაზრდობის კულტურულ მოთხოვნილებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და პარტიის საოლქო კომიტეტებს დაავალა გაძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების განვითარებისადმი; წინადადება მისცა ყოველნაირად გაუმჯობესონ რეპერტუარი, უყურეთ გამოიყენონ მხატვრული თვითმოქმედება იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში, ადამიანთა შეგნებიდან წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრაში.

ახლანდელ პირობებში განსაკუთრებით მწვავედ დგება საკლუბო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხი.

მასობრივი ინფორმაციების საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის სწრაფი განვითარების ხანაში, საბჭოთა ადამიანების განათვლებისა და საერთო კულტურის არნახული ზრდის, მათი სულიერი მოთხოვნილებებისა და ესთეტიკური გემოვნების არნახული ზრდის პირობებში მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის დონე. დღევანდელი მშრომელ

ᲭᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲖᲔ — ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ!

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

კარგად როდი აქვს შეგნებული ეს. ჯერ კიდევ არ დაგვიწყებია დახანანი ინციდენტები. რომლებიც მოხდა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე და სპორტის სასახლეში, გალის, ჯორის, ხობის, სიჩხერისა და სხვა სტადიონებზე.

როგორც წესი. სპორტსმენები, რომლებიც მსჯელობა და გულშემატკივრებს მიმართავენ, თავს ვეღარ იკავებენ კრიტიკულ სიტუაციებში. როგორც კი ორთაბრძოლის ბედი მეტოქის სასარგებლოდ გადაიხრება. ზოგიერთი მწვრთნელი კი. იმის ნაცვლად, რომ მოუწოდოს წესრიგისაკენ წამომწყებთ, ხშირად თვითონ არღვევს სპორტულ ეთიკასა და დისციპლინას.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დიდოლბით ასპარეზობის დროს უწესრიგობას შეიძლება მოჰყვეს გუნდის, მინდვრის ან მოედნის დისკვალიფიკაცია, უფრო მეტიც, მოკიმულ ჭალაში თუ რაიონს მთლიანად შეიძლება ჩამოერთვას შეჯიბრების მოწყობის უფლება.

სპორტული ხანახაობანი მაყურებელთა კულტურის დონის შემოწმების თვისებური „პოლიგონია“. როცა ცალკეული სპორტსმენები და გულშემატკივრები თავს უხეშობის, ბილწსიტყვაობის ნიბას აძლევენ, ამით სახელს უტეხენ საკუთარ თავს საზოგადოებრიობისა და სტუმრთა თვალში. ხოლო რაც მთავარია, ჩირქს სცხებენ რესპუბლიკის კულტურულ ტრადიციებს. ბეთრფთხილებლად წამოსროლილ ფრაზას, რომელსაც ხმების გუნდი აიტაცებს. ან სპორტსმენს ულიის საქცელს. ტელევიზია და რადიო უნებლიედ მრავალმილიონიანი აუდიტორიის კუთვნილებას ხდის.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამგვარი ფაქტები მოწმობენ, რომ ნაკლოვანებანია მორალური და ზნეობრივი ნორმის, შინაგანი დისციპლინისა და თვითკონტროლის დაცვის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდისათვის მუშაობაში. ამ საქმეში სერიოზულ საყვედურს იმსახურებენ პედაგოგიური კოლექტივები, კოკავშირული ორგანიზაციები, მშობლითა საზოგადოებრიობა. მათი ვალია ახალგაზრდებს ჩაუნერგონ პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი და ამხანაგების საქცეელისათვის.

სამწუხაროდ, იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ასპარეზობის დამსწრე მშობლები თავიანთ შვილს, ხოლო უფროსები — გვერდით მჯდომ მზარდებს არათუ აკვედენ, არამედ ზოგჯერ თვითონ იქცევიან უღირსად. ამის შედეგად, მასობრივ სპორტულ სანახაობათა მოწყობის ადგილები, ნაცვლად იმისა, რომ პოპულარიზაციას უწევდნენ ჭეშმარიტ რაინდობას, მეტოქისადმი პატივისცემლურ დამოკიდებულებას, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას, ხშირად ამკარა უხეშობის არენად გადაიქცევა ხოლმე.

ჩვენი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა კეთილმოსურნე და ობიექტურია. გავიხსენოთ თუნდაც ის, რა გულწრფელად და აქტიურად უჭერდნენ მხარს ისინი თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოსკოვის დინამოელებს, რომლებიც ვენის „აუსტრიასთან“ თამაშობდნენ. ამიტომაც ცენტრალურ პრესას შემთხვევით არ აღუნიშნავს, რომ მოსკოველთა გამარჯვების თანამონაწილენი თბილისელი მაყურებლები გახდნენ. თვით ფეხბურთელებმაც აღიარეს მატჩის შემდეგ, რომ არასოდეს და არსად მათთვის ასე მხურვალედ არ დაუჭერიათ მხარი.

ეს სპორტულ მეტოქეობაზე ბუნებრივი რეაქციაა, მით უმეტეს, თუ გამარჯვებისათვის იბრძვიან თანამემამულენი. მაგრამ, მწვანე მინდორზე თუ დარბაზში მოპოვებული წარმატებანი ჭეშმარიტ სიხარულს მხოლოდ მაშინ მოგვანიჭებენ, როცა იგი პატიოსანი სპორტული ბრძოლითაა მოღწეული. სწორედ ამიტომაც თათბირის მოიაწყლენი მოითხოვდნენ, რომ მკაცრად აგებინონ პასუხი ყველა იმის, ვინც არაფერს დაერიდება მომგებიანი ქულის აღებისათვის. ეს ეწინააღმდეგება პატიოსანი მეტოქეობის სულისკვეთებას, აუფერულებს შეჯიბრებას, იწვევს მორალურ ზიანს, დიდად ვნებს მთელ ჩვენს სპორტს. თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, როცა „მომგებიანი ქულის“ ინტერესებისათვის მატჩის მოსამსახურეებად ჩამოსულ მსაჯებს ცდილობენ ყოველნაირად მოუგონ გული.

დიახ, არბიტრებიც ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ არაკვალიფიციურ მსაჯობას ახლა მტკიცე ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ზოგიერთი არბიტრი საერთოდ ჩამოშორებულია მსაჯობას, ზოგიერთი — რამდენიმე თამაშით ან მთელი სეზონის მანძილზეა დისკვალიფიცირებული. არც ერთ შემთხვევაში არაზუსტი მსაჯობა რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. ასე იქნება კვლავაც.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს: მსაჯის ვერავითარი შეცდომა ვერ გაამართლებს საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფას. როგორც ანლიზი მოწმობს, ამ უწესრიგობას პროვოკაციულად იწვევენ არა ნამდვილი, არამედ ვაი-გულშემატკივრები, რომლებიც თავისი გუნდისა თუ სპორტსმენისაგან მოითხოვენ გამარჯვებას ყოველგვარ ფასად.

ტრიბუნებზე სანიმუშო წესრიგის დამყარება მთელი საზოგადოებრიობის საქმეა. ამ საქმეში დიდია პროფკავშირული ორგანიზაციების როლი, თუ გავიფიქრეთ, რომ მარტო ერეკლეს ბოლიკას ჩემპიონატებში, სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველობის პირველ და მეორე ლიგაში მონაწილეობს სამოცამდე პროფკავშირული გუნდი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სახეობის სპორტის ასპარეზობებში პროფკავშირულ სპორტსმენთა მონაწილეობაზე.

მაღალი შეგნებისა და დისციპლინის, სტუმართმოყვარეობის ტრადიციების ერთგულების სულისკვეთებით სპორტსმენთა და მაყურებელთა აღზრდაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. რა დასანანია, როცა დიდი ასპეზრობა ზოგჯერ ისე მიმდინარეობს, როცა ტრიბუნები თიმქის ცარიელია. რატომ არ უნდა დავასწროთ ამ ასპარეზობებს მზარდები, რომლებსაც პატარობიდანვე ჩავუნერგავთ ტრიბუნებზე ქცევის მაღალ კულტურას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასეთი სანახაობის შემდეგ რამდენიმე ათეული ბავშვი ჩაებმება სპორტულ მეცადინეობაში. ამის ინიციატორები უნდა გახდნენ კომკავშირული კომიტეტები და ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანთა სექციები, რომლებიც ახლა იქმნება.

ახალგაზრდობასთან უნდა გაწარმოოთ მოფიქრებული, გულმოდგინე მუშაობა, გამოვიყენოთ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ არც ერთი საქცეელი, რომელიც სახელს უტეხს რაიონს, ქალაქსა თუ რესპუბლიკას.

ტრიბუნებზე — სანიმუშო წესრიგი! ასეთია რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. ა. ჩხეიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. ი. გვეტაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ა. პერტენავა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია. (საინფორმო).

ᲙᲔᲠᲫᲝᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ — ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის დადგენილებები მოითხოვენ ახალი ძალთა გაჯანსაღებას ბრძოლა ყოველგვარი ანტისოციალისტური მოვლენების წინააღმდეგ. ბრძოლის მახვილი უპირველეს ყოვლისა მიმართული უნდა იყოს ისეთი ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, როგორიც არის კერძომესაკუთრული ტენდენციები, მომხვეჭელობა, სოციალისტური საკუთრების ხელყოფა და სხვ.

ეს მავნე ტენდენციები და მათი დანაშაულებრივი გამოვლინებანი გ. სნაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ გამდიდრების მარნით შეპყრობილი ადამიანები არას დაგიდევენ საბჭოთა კანონებს და ხელიდან არ უშვებენ არც ერთ ხელსაყრელ მომენტს სახალხო დოვლათის დატაცებისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ანგარების მიზნით გამოყენებისათვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ხარჯზე ხელგაშლილი ცხოვრებისათვის.

მომხვეჭელობა, ანგარებითი დანაშაულობანი უფრო საშიშია, როცა მათ სჩადიან თანამდებობის პირნი, რომლებიც თვითონ არიან მოვალენი ზრუნავდნენ კანონიერების, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დაცვისათვის.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ, სანამ საბოლოო მიზანს მივაღწევდეთ, უწინარეს ყოვლისა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ აღვკვეთოთ ის პირობები და გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობენ კერძომესაკუთრული მისწრაფებების გაღვიძებას, ანგარებითი დანაშაულის ჩადენას.

ანგარებითი ხასიათის დანაშაულის ხელშემწყობი გარემოება მეტწილად ის შეცდომები და დარღვევებია, რომლებსაც უშვებენ მატერიალურად პასუხსაგებ საშუშაოზე კადრების შერჩევისას, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას ანდობენ ნასამართლეს, არაკეთილსინდისიერ, საეჭვო წარსულის მქონე პირებს. მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

გარდაბანის რაიონის მუშათა კოოპერატივის სოფელ კალინინოს № 23 მაღაზიის გამგედ დანიშნეს ანგარებითი დანაშაულისათვის ორჯერ ნასამართლევი გ. გუსეინოვი, მალე მან კვლავ დაიტაცა დიდძალი კოოპერაციული ქონება. გუბერნიის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ექსპედიტორი ვ. ბაზერაშვილი სამჯერ იყო ნასამართლევი ანგარებითი დანაშაულისათვის. მიუხედავად ამისა, იგი ისევ იმავე თანამდებობაზე დანიშნეს და კვლავ მითვისა სახელმწიფო ქონება. რამდენიმე ხნის წინათ სპეკულაციისათვის ადრე ნასამართლეები ა. კირვალიძე დაინიშნა ქ. ცხინვალში მაღაზიის გამგედ. იგი მომხმარებლის მოტყუებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული. იმავე ქალაქში რკინიგზის რესტორნის მეპუფეტედ დაინიშნა ს. კოშმინა, რომელსაც წინათ ანალოგიური დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხვდებიან კვლავ მატერიალური პასუხსაგებ სამუშაოზე ანგარებითი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირები, მიგვანიშნებს აბაშის რაიონში გამოვლენილი ფაქტი: რკინიგზის რესტორნის დირექტორი ლ. ჩაჩუა მსჯავრდადებული იქნა ამისათვის, რომ სავაჭრო სისტემაში სამუშაოზე დანიშნეს ასევე ნასამართლეული ბ. ბეკოევი და „ცხინვალეკაჭრობის“ დირექტორი მ. ცხოვრებოვი სრულ უყურადღებოდ აჩენდნენ, ვ. ქრისტესიაშვილს უფლებას აძლევდნენ, რომ იქსპედიტორის გვერდის ავლით თბილისის ცენტრალური ბაზიდან მიეღო დეფიციტური საქონელი. ცხადია ეს „თანამეგობრობა“ უანგარო არ იქნებოდა. დამნაშავენი საკადრისად დასაჯნენ. მაგრამ ეს მძიმე დანაშაული ხომ არ მოხდებოდა, ყველა თანამდებობის პირს კეთილსინდისიერად რომ შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა?

თერჯოლის რაიონვინერმაღის ტანსაცმლის სექციის გამგეს კ. ყორყოლაძეს 1974-76 წლებში 6-ჯერ ჩაუტარდა ინვენტარიზაცია. ამ ფაქტმა ვ. კოჩიევმა და ს. დენეევმა სიყალბის გზით მას 34.000 მანეთით შეუმცირეს დანაკლისი.

უნივერმაღის დირექტორი ნ. ბეკოევი და „ცხინვალეკაჭრობის“ დირექტორი მ. ცხოვრებოვი სრულ უყურადღებოდ აჩენდნენ, ვ. ქრისტესიაშვილს უფლებას აძლევდნენ, რომ იქსპედიტორის გვერდის ავლით თბილისის ცენტრალური ბაზიდან მიეღო დეფიციტური საქონელი. ცხადია ეს „თანამეგობრობა“ უანგარო არ იქნებოდა. დამნაშავენი საკადრისად დასაჯნენ. მაგრამ ეს მძიმე დანაშაული ხომ არ მოხდებოდა, ყველა თანამდებობის პირს კეთილსინდისიერად რომ შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა?

თერჯოლის რაიონვინერმაღის ტანსაცმლის სექციის გამგეს კ. ყორყოლაძეს 1974-76 წლებში 6-ჯერ ჩაუტარდა ინვენტარიზაცია. ეს დანაშაული იმითაც არის საშიში, რომ სპეკულანტთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს არიდებს საზოგადოებრივ მოწყობას შეპირდა მომხმარებლის მოტყუებისათვის ადრე ნასამართლეული ნ. ქორჩილავა, რომელსაც ქრთამის სახით გამოართვა 100 მანეთი.

სოციალისტური საკუთრების დატაცების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სარკვიზიო-საინვენტარიზაციო სამმაინობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, უხარისხო და ფორმალური რევიზიები და აღწერა-ინვენტარიზაციები მარტო დოფდეფრობით როდი ხდება. არცთუ იშვიათად „ასეთ შეცდომებს“ ანგარებით �უშვებენ რევიზორები და ინვენტარიზატორები, რითაც დატაცების ხელშემწყობნი და თანამონაწილენი ხდებიან.

შარშან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლომ მსჯავრი დასდო „ცხინვალეკაჭრობის“ ცენტრალური უნივერმაღის ფეხსაცმლის სექციის გამგეს ვ. ქრისტესიაშვილს, რომელმაც ორ წლის განმავლობაში 51.344 მანეთი მითვისა. ვ. ქრისტესიაშვილს 1976 წელს ორჯერ ჩაუტარდა ინვენტარიზაცია. ინვენტარიზატორებმა „ცხინვალეკაჭრობის“ ყოფილმა უფროსმა რევიზორმა ს. ბიბილოვმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საფინანსო განყოფილების ყოფილმა ეკონომისტმა გ. კოჩიევმა და ს. დენეევმა სიყალბის გზით მას 34.000 მანეთით შეუმცირეს დანაკლისი.

უნივერმაღის დირექტორი ნ. ბეკოევი და „ცხინვალეკაჭრობის“ დირექტორი მ. ცხოვრებოვი სრულ უყურადღებოდ აჩენდნენ, ვ. ქრისტესიაშვილს უფლებას აძლევდნენ, რომ იქსპედიტორის გვერდის ავლით თბილისის ცენტრალური ბაზიდან მიეღო დეფიციტური საქონელი. ცხადია ეს „თანამეგობრობა“ უანგარო არ იქნებოდა. დამნაშავენი საკადრისად დასაჯნენ. მაგრამ ეს მძიმე დანაშაული ხომ არ მოხდებოდა, ყველა თანამდებობის პირს კეთილსინდისიერად რომ შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა?

თერჯოლის რაიონვინერმაღის ტანსაცმლის სექციის გამგეს კ. ყორყოლაძეს 1974-76 წლებში 6-ჯერ ჩაუტარდა ინვენტარიზაცია. ეს დანაშაული იმითაც არის საშიში, რომ სპეკულანტთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს არიდებს საზოგადოებრივ მოწყობას შეპირდა მომხმარებლის მოტყუებისათვის ადრე ნასამართლეული ნ. ქორჩილავა, რომელსაც ქრთამის სახით გამოართვა 100 მანეთი.

სოციალისტური საკუთრების დატაცების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სარკვიზიო-საინვენტარიზაციო სამმაინობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, უხარისხო და ფორმალური რევიზიები და აღწერა-ინვენტარიზაციები მარტო დოფდეფრობით როდი ხდება. არცთუ იშვიათად „ასეთ შეცდომებს“ ანგარებით უშვებენ რევიზორები და ინვენტარიზატორები, რითაც დატაცების ხელშემწყობნი და თანამონაწილენი ხდებიან.

შარშან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლომ მსჯავრი დასდო „ცხინვალეკაჭრობის“ ცენტრალური უნივერმაღის ფეხსაცმლის სექციის გამგეს ვ. ქრისტესიაშვილს, რომელმაც ორ წლის განმავლობაში 51.344 მანეთი მითვისა. ვ. ქრისტესიაშვილს 1976 წელს ორჯერ ჩაუტარდა ინვენტარიზაცია. ინვენტარიზატორებმა „ცხინვალეკაჭრობის“ ყოფილმა უფროსმა რევიზორმა ს. ბიბილოვმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საფინანსო განყოფილების ყოფილმა ეკონომისტმა გ. კოჩიევმა და ს. დენეევმა სიყალბის გზით მას 34.000 მანეთით შეუმცირეს დანაკლისი.

ᲙᲔᲠᲫᲝᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ — ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-Ს ᲛᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 5 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 30 წლისთავთან დაკავშირებით ფინეთში ჩამოსულმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით წითელი მისაკების თაიგულით შეამკო იმ სასაზე გაკრული მემორიალური დაფა, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა 1917 წელს.

ამავე დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ფინეთის პრეზიდენტის ი. კ. პაასიკივის საფლავი.

დღეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა საუზმე გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ დელეგაციის მეთაური ა. ა. გრომიკო, დელეგაციის წევრები, ფინეთის მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

უ. კ. კეკონენმა და ა. ა. გრომიკომ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 5 აპრილი (საკდესი). სასასლი „ფინეთში“ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის 30 წლისთავს მიეძღვნა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 6 აპრილი. (საკდესის კორ.). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს პროვოკაციებს ლიბანის სამხრეთში. გუშინ საღამოს ისრაელის ქვეგანაყოფმა რას ალაინ-ბაზრიის რაიონში სცადა გაჭრილიყო ქალაქ ტირის მიმართულებით. ოკუპანტები პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებულმა რაზმებმა და ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა უკუაგდეს. წუხელ ისრაელის არტილერია მთელ ღამეს უშენდა ცეცხლს ქალაქ ნაბათიას და ახლომდებარე სოფლებს, რითაც დიდი ზიანი მიადგა საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ შენობებსა და საქალაქო კომუნიკაციებს.

როგორც დღეს აღნიშნავს ბეირუთის გაზეთი „ას-საფირი“, ლიბანის სამხრეთში ისრაელ დამპყრობთა პროვოკაციული მოქმედების მიზანია არ დაუშვან დაძაბულობის შენელება ამ რაიონში, შექმნან პირობები ოკუპაციის გადაგვარებისათვის.

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 6 აპრილი. (საკდესის კორ.). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს პროვოკაციებს ლიბანის სამხრეთში. გუშინ საღამოს ისრაელის ქვეგანაყოფმა რას ალაინ-ბაზრიის რაიონში სცადა გაჭრილიყო ქალაქ ტირის მიმართულებით. ოკუპანტები პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებულმა რაზმებმა და ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა უკუაგდეს. წუხელ ისრაელის არტილერია მთელ ღამეს უშენდა ცეცხლს ქალაქ ნაბათიას და ახლომდებარე სოფლებს, რითაც დიდი ზიანი მიადგა საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ შენობებსა და საქალაქო კომუნიკაციებს.

როგორც დღეს აღნიშნავს ბეირუთის გაზეთი „ას-საფირი“, ლიბანის სამხრეთში ისრაელ დამპყრობთა პროვოკაციული მოქმედების მიზანია არ დაუშვან დაძაბულობის შენელება ამ რაიონში, შექმნან პირობები ოკუპაციის გადაგვარებისათვის.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 6 აპრილი. (საკდესის კორ.). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს პროვოკაციებს ლიბანის სამხრეთში. გუშინ საღამოს ისრაელის ქვეგანაყოფმა რას ალაინ-ბაზრიის რაიონში სცადა გაჭრილიყო ქალაქ ტირის მიმართულებით. ოკუპანტები პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებულმა რაზმებმა და ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა უკუაგდეს. წუხელ ისრაელის არტილერია მთელ ღამეს უშენდა ცეცხლს ქალაქ ნაბათიას და ახლომდებარე სოფლებს, რითაც დიდი ზიანი მიადგა საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ შენობებსა და საქალაქო კომუნიკაციებს.

როგორც დღეს აღნიშნავს ბეირუთის გაზეთი „ას-საფირი“, ლიბანის სამხრეთში ისრაელ დამპყრობთა პროვოკაციული მოქმედების მიზანია არ დაუშვან დაძაბულობის შენელება ამ რაიონში, შექმნან პირობები ოკუპაციის გადაგვარებისათვის.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა. მას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი რ. ბარი, რომელსაც წინათ ადრეთვე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა. ეს პოსტი ახალ კაბინეტში არ არის.

მინისტრთა საბჭომ განიცადა ერთგვარი სტრუქტურული ცვლილებები. გაუქმებულია სახელმწიფო მინისტრთა პოსტები. სამინისტრო პორტფელების საერთო რიცხვი გადიდებულია 17-დან 20-მდე. გაყოფილი და ხელახლა განაწილებულია ზოგიერთი სამინისტროს ფუნქციები და შესაბამისად შეცვლილია მათი სახელწოდებანი.

პარტიული შემადგენლობის მხრივ ახალი მთავრობა ბევრად არ განსხვავდება უწინდელისაგან. 8 სამინისტროს სავარძელი და სახელმწიფო მდივნის ერთი პოსტი ეკუთვნის საფრანგეთის დემოკრატიის კავშირს. რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანების წარმომადგენელნი მეთაურობენ 6 სამინისტროს და 1 სახელმწიფო სამდივნოს.

საკვანძო პოსტებზე დარჩნენ უწინდელი მინისტრები, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. დე გირენგო, თავდაცვის მინისტრი ი. ბურეი, იუსტიციის მინისტრი ა. პეიერეფიტი, შინაგან საქმეთა მინისტრი კ. ბონე.



ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნათა მიუხედავად, მმართველი წრეები გეგმავენ სამხედრო ბიუჯეტის ახალ გადიდებას ნატოს ხელმძღვანელობის მითითებებით. როგორც ამას წინათ თავდაცვის საკითხებზე გამოქვეყნებული მთავრობის „თეთრი წიგნიდან“ ჩანს, 1979-1980 საფინანსო წლიდან სამხედრო საჭიროებებისათვის ქვეყნის ხარჯები რეალური გამოანგარიშებით ყოველწლიურად გაიზრდება სამი პროცენტით. უკვე მომდევნო საფინანსო წელს ინგლისის ხარჯები მიაღწევს მშვიდობიანი დროის რეკორდულ დონეს 6.919 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ფაქტიურად სამხედრო ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან თავდაცვის სამინისტრო მიიღებს დამატებითს შემოსავალს საზღვარგარეთ იარაღის გაყიდვითა და სხვა წყაროებიდან.

• • •

სურათზე: მორიგი მანევრების დროს.

საკდესის ფოტოკორონიკა.

ᲡᲐᲥᲠᲐᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲜᲐᲢᲝᲡ მხედრიონი შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ფლოტის კომპლექსთან მჭიდრო თანამოქმედებით ცდილობს დაჩქაროს იმ გადაწყვეტილების მიღება, რომ აწარმოონ ნეიტრონული იარაღი და განალაგონ იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ანუ რაიონებში. სადაც ეს იარაღი, ნატოს ანალიზადებებისამებრ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

ამ ცდებს ჰიმართავენ მაშინ, როდესაც ყოველდღიურად სულ უფრო ძლიერდება არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნები. რომ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღის ეს ნაირსახეობა. სწორედ ამიტომაა, რომ ნეიტრონული იარაღის ჭომაგები ნაირ-ნაირ ხრიკებს ხმარობენ, რათა დაიცხრონ იმ გამოსვლების ხიმძაფრე, რომლებიც მიმართულია ნეიტრონული იარაღის წარმოებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე განლაგების გეგმების წინააღმდეგ. და თან იმასაც კი არ ერიდებიან, რომ თავი მშვიდობისმოყვარეად მოაქვთ!

ეტყობა, ნეიტრონული იარაღის მომხრენი მაინც ხვდებიან, თუ რა საძრახის ზდგომარეობაში იყენებენ თავს. როცა ნეიტრონული ბომბის წარმოების დაწყებას იჩემებენ ევროთანამებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის, იმ სესიის წინ, თავის ისტორიაში პირველად რომ ეძღვნება განიარაღებას, აი რისთვის სჭირდებათ თავის შენიღბვა, აი რატომ ცდილობენ ასე თავგამოდებით შეაცდინონ საზოგადოებრივი აზრი.

პრესაში საგანგებოდ გაავრცელეს ვერსია, რომლის თანახმადაც გარკვეული დროით ონდა გადადოს ნეიტრონული იარაღის განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ ამასთანავე აყენებენ საბჭოთა კავშირისათვის აშკარად მიუღებელ პირობებს, რომელთა მიზანია ამ საკითხის გადაწყვეტა დაუკავშირონ სხვა საკითხებს, რომლებიც საგანს არ ეხება. უფრო მეტიც, ნატოს პროპაგანდა ცდილობს დამტკიცოს, რომ ეს ნაბიჯი საბჭოთა კავშირისადმი დათმობას ნიშნავს და თავიც კი მოაქვს ასეთი „სულგრძელობით“.

ყველა ამ მანევრს სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუების ცდები. მეორე მხრივ, ეს უნდა მივიჩნიოთ მისწრაფებად თავი აარიდონ პრობლემის გადაჭრას, რომელიც საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს შეესაბამება.

ის ცდები, რომ ნეიტრონული ბომბი „კოზირად“ გამოიყენონ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში, არ არის ლოგიკური და პერსპექტიული. არ არის ლოგიკურიო, იმიტომ ვამბობთ, რომ საქმე უნდა ეხებოდეს არა რაღაც ცალმხრივ უპირატესობათა დაკანონებას, არამედ ორმხრივ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამალებული შეიარაღების ესკალაციის შეწყვეტას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა შეიტანა მკაფიო და კონკრეტული წინადადება, რომ შევთანხმდეთ და ორმხრივი უარი ვთქვათ ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე.

უპირსპექტივოა აგრეთვე შანტაჟის, ხაბჭოთა კავშირზე გავლენის მოხდენის ცდები. მთელი ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს ამას. სსრ კავშირი შეიძლება დადგეს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ნეიტრონული ბომბის ქომაგთა გამოწვევას, და გასცეს ისე, როგორც ამას საბჭოთა ხალხისა და მისი მოკავშირეების უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს. ჩვენს ქვეყანას სულაც არ ხურს დაადგეს ამ გზას, ვინაიდან არსებობს ალტერნატივა გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპისადმი.

ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ორმხრივი უარის თქმის შესახებ საბჭოთა წინადადებებს სერიოზულად უნდა მიუდგნენ ხახელმწიფო მოღვაწენი. საქმე ხომ მილიონობით ადამიანის ბედს ეხება!

Ა. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ,

საკდესის მიმომხილველი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

მომავლის საძირკველი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ საბალხო განათლების შემდგომი სრულყოფისათვის. კომუნისტური აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ეს ზრუნვა ნათლად ითსახება სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში. ამ ყრილობების ძირითადებანი დაკონკრეტებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დეკემბრის დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების მემდგომი სრულყოფის შესახებ“.

ამ დადგენილებაში ჩვენი სკოლის მთელ ოჯ მიღწევასთან ერთად აღნიშნულია ნაკლოვანებანიც, ოთმელთა აღმოფხვრაც უზრუველყოფს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ამჟამად პედაგოგიურ მეცნიერებათა მუშაკებიც და მასწავლებლების ფართო მასებიც ეძებენ აღზრდისა და განათლების ყველა შესაძლებლობის უფრო სოულად გამოყენების გზებს სასწავლო პროცესში, რომელიც აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის პირობებში ძთავარ როლს ასრულებს.

თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა XXIII რეპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია. საქართველოს საბალხო განათლების მუშაკთა შემოქმედებითს ფორუმზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ითის შესახებ, თუ როგორ ებრძვის განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში მასწავლებლებს — მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საყოველთაო საქმეში ჩაბმული ადამიანების დიდი არმია, რათა სამშობლოს აღუზარდონ ყოველმხრივ განვითარებული, დიდი ცხოვრებისათვის სრულყოფილად მომზადებული მოქალაქენი. კონფერენცია შეიწყვეს საქართველოს სსრ განათლების საძინისტროს ი. გოგებაშვილის საბელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ პედაგოგიურმა საზოგადოებამ და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა.

სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა პლენარული სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ განათლების ძინისტრმა ო. ქინქლაძემ. მოსმენილ იქნა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ა. პისკუნოვის, საქართველოს სსრ განათლების ძინისტრის, პროფესორ ო. ქინქლაძის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ძდივნის მ. ფაჩუაშვილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. შევარდნაძის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ გ. საყვარელიძის და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის პირველი მდივნის გ. ანჩაბაძის მოხსენებანი.

დიდი საუბარი სწავლა-აღზრდის საკითხებზე

□

შემდეგ, კონფერენციის მუშაობა 27 სექციაში გაგრძელდა.

სექციებში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში პროფესორი კ. მაჭარაშვილი. განიხილეს რამდენიმე საუკეთესო მოხსენება.

კონფერენციამ წარმატებით დაამთავრა მუშაობა. წაკითხული მოხსენებების ნაწილი, რომელიც აქტუალობით, თეორიული და პრაქტიკული ღირებულებით გამოირჩევა, ფართოდ უნდა განზოგადდეს, ყველა პედაგოგის კუთვნილება უნდა გახდეს.

საძეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა კონფერენციის მოთავეებს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ა. პისკუნოვს და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს გ. საყვარელიძეს და სთხოვა კონფერენციის მუშაობის მიზნებსა და შედეგებზე რამდენიმე სიტყვით მოეთხროთ გაზეთის მკითხველებისათვის.

გთავაზობთ ძათს საუბარს:

ა. პისკუნოვი—კონფერენციის მუშაობის პროგრამა და მოხსენებათა შინაარსი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს მასწავლებელთა მრავალთასაანი არმია სწორად და ეფექტიანად მუშაობს, რათა ყოველი გაკეთილი მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურებოდეს. საქართველოს პედაგოგთა ეს კოლექტიური აღძაველობა, ასე ცხადად რომ გამოვლინდა კონფერენციაზე, სასურველია რაც შეიძლება მალე ფართოდ გახდეს ცნობილი მთელი საბჭოთა პედაგოგიური აუდიტორიისათვის, იგი მეცნიერთა მხრივ შესწავლის ობიექტი უნდა იყოს.

კონფერენციის წარმატებული მუშაობა, ჩვენი აზრით, აიხსნება ქართველ მეცნიერ პედაგოგთა კავშირით სკოლასთან. ამაში მთავარი როლი შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა, საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებამ.

საქართველო მდიდარია პედაგოგიური ტრადიციებით, იგი ასევე მდიდარია შესანიშნავი მეცნიერი პედაგოგებით, რომელიც ფართოდ არიან ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ესენი არიან სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსი პროფესორი დ. ლორთქიფანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორები პროფესორები ო. ქინქლაძე, უ. ობოლაძე, ე. საყვარელიძე. მათი და პედაგოგიკის მეცნიერებათა სხვა საუკეთესო წარმომადგენლების თვისებათა ის არის, რომ პედაგოგიკის ყველაზე აქტუალური თეორიული პრობლემების დამუშავებას ისინი განუყრელად უხამებენ სკოლისათვის ყოველდღიურ დახმარებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მეცნიერი პედაგოგების მოღვაწეობაში ამ ორი ასპექტის ერთიანობაა მათი წარმატებების მიზეზი.

საქართველოს მეცნიერ პედაგოგებსა და მთელ პედაგოგიურ საზოგადოებრიობას ვუსურვებ წარმატებებს მეტად რთულსა და კეთილშობილურ საქმიანობაში.

გ. საყვარელიძე — კონფერენციის მუშაობის ძირითადი პრობლემა იყო „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების პროცესში“. ახლა მთელი ყურადღება მიმართულია იქით, რომ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა ხორციელდებოდეს არა ცალკეული ერთმანეთისაგან იზოლირებული ღონისძიებებით, არამედ ყოველი სასწავლო დისციპლინის სწავლების პროცესში. ეს იყო ძირითადი კრიტერიუმი კონფერენციაზე განსახილველად დასმული მოხსენებების შერჩევისას. სულ შემოვიდა 2.500-ზე მეტი მოხსენება. დიდი მუშაობა იქნა გაწეული ამ მოხსენებათა დამუშავებასა და შერჩევაში. შეირჩა 800-მდე მოხსენება. კონფერენციის მუშაობა ძირითადად წარიმართა მოწვეულ მასწავლებელთა იმ გამოცდილების განხილვადების მიხედვით, რომელიც ჩვენმა სკოლამ და სხვა სასწავლო აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა შეიძინეს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. იგი საფუძვლად დაედება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომ გაუჯობესებას. ამით გადაიდგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ და საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობამ დასახეს ნომავალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამავე პრობლემას მიეძღვნება V საკავშირო პედაგოგიური კითხვები, რომელიც გაისად გაიმართება ალმა-ათაში. ახლახანს დამთავრებულმა კონფერენციამ უკვე მისცა რეკომენდაცია მრავალ ათეულ საუკეთესო მოხსენებას მომავალი პედაგოგიური კითხვებისათვის.

წინა კონფერენციებისაგან განსხვავებით, წლევანდელ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოირჩეოდა თემების აქტუალობითა და შესრულების ხარისხით. მათი უმრავლესობა მეცნიერულ დონეზე იყო დაწერილი. ბევრმა მოხსენებამ მოიპოვა პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნების უფლება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ზუგდიდის, გორის, ახალციხის, გურჯაანის და სხვა რაიონებისა და ქალაქების სკოლების მასწავლებელთა აქტიურობა კონფერენციის მომზადების საქმეში. ბუნებრივია, მათივე გამოჩინეს თავი კონფერენციის მუშაობაშიც.

კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგა სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის.



იკვლევენ თბილისელი ენათმეცნიერები

ნაყოფიერად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივი, ეს ინსტიტუტი დაარსდა 1969 წელს პრობლემური ლაბორატორიის ბაზაზე აკადემიკოს ი. ვეკუას ინიციატივით.

ინსტიტუტში წარმატებით მიმდინარეობს თეორიული გამოკვლევები და რიცხობრივი მეთოდების შემუშავება დიფერენციული და ინტეგრალური მართვისა და მათი დანართებისათვის გარსების, დრეკადობის, ოპტიმალური მართვის, გამოსხივებათა გადატანის თეორიებში, აგრეთვე მეტეოროლოგიაში, ზღვის დინებათა დინამიკასა და პლაზმის ფიზიკაში.

მეცნიერები ამუშავებენ დაპროგრამების თეორიულ და გამოყენებით საკითხებს, მათ შორის ქმნიან პროგრამების პაკეტებს დრეკადობის თეორიის გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

თბილისელი მათემატიკოსები ფართოდ იყენებენ გამოთვლითი ტექნიკას. ინსტიტუტში ახორციელებენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ათობით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს.

• • •

სურათებზე: ქვემოთ— მეცნიერები აწარმოებენ კვლევას ელექტრონული გამოთვლითი მანქანის „ბესმ-6“-ის მეშვეობით; ზემოთ — ინფინერ-მაკემატიკოსი ციხანა ორჯონიკიძე მუშაობის დროს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შ. ბობოხიძე

გარდაიცვალა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროელექტროენერგეტიკის კათედრის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ წევრი 1956 წლიდან შოთა სამსონის ძე **ბობოხიძე.**

შ. ბობოხიძე დაიბადა 1927 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიმტიბში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

შ. ბობოხიძე წლების განმავლობაში მუშაობდა აღნიშნული ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1965 წლიდან — ირიგაციული ქსელისა და ქსელური ნაგებობების სექტორის გამგედ. ამ პერიოდში მან დაამუშავა ირიგაციული ჰიდროავტომატური ნაგებობების 15 ორიგინალური კონსტრუქცია, რომლებიც გამოირჩევა ტექნიკური სრულყოფით და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით. აღნიშნულ საკითხებზე 1969 წელს შ. ბობოხიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შ. ბობოხიძის 50-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, ავტორიმოწმობა, სალიცენზიო ლიცენზია, საავტორო სერტიფიკატი ... ტექნიკური მეცნიერების განვითარებაში.

შ. ბობოხიძე იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოსა და ხარისხების მინიჭებელი საბჭოს წევრი, ჰიდრავლიკურ კლეევათა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ეროვნული კომიტეტის სექციის სწავლული მდივანი, ჰიდრავლიკოსთა მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური ფორუმის მონაწილე.

1973 წლის დეკემბრიდან უკანასკნელ დღემდე შ. ბობოხიძე სირიის არაბთა რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც იკვლევს სირიის დასავლეთი რაიონების მიწისქვეშა და მიწისზედა წყლის რესურსებს, ამუშავებს მისი კომპლექსური გამოყენების სქემებს. საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში შ. ბობოხიძემ თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა და დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე სპეციალისტმა.

შ. ბობოხიძე იყო ენერგეტიკული, პრინციპული, სამართლიანი და გულისხმიერი ადამიანი, რითაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლეგებსა და მეგობრებს შორის, რომელნიც სამუდამოდ შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საბინისტრო; საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საბინისტრო; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საპროექტო ინსტიტუტი „საქსახწყალპროექტი“.

სიკეთის წყარო

□

ზრომის მოწინავე ადამიანები — სტუმრად მოსწავლეებთან

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაწყო შეკრება თემაზე „დიდება შრომას“. შეკრებაზე მოვიდნენ ამავე სკოლის კურსდამთავრებულები, შრომით სახელგანთქმული ადამიანები — შატამშენის სამმართველოს მღებავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატი რ. ლალიძე, სტალინის სახელობის შახტის მოწინავე მეშახტე ს. მანაგაძე და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ნოვატორი მუშა ჯ. ცქიფურიშვილი.

მოხსენება „შრომა ყოველგვარი სიკეთის წყაროა“ გააკეთა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. ჯანჯღავამ. შრომის მოწინავეებს მიესალმნენ პიონერები.

სტუმრებმა მოსწავლეებს გააცნეს თავიანთი შრომითი საქმიანობა, მოუწოდეს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიაშურონ ქალაქის ახალმშენებლობებს და წარმოებას მოუწყვეტლივ ისწავლონ.

ვ. ცირეკიძე.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, ხუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 15-20, მთებში — 8-14 გრადუსი სითბო იქნებ..

აღმოსავლეთ საქართველოში მზრალი ამინდია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში იქროლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა— დაბლობ რაიონებში 13-18, მთებში 6-11 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია მზრალი ამინდი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 16-18 გრადუსი სითბო.

კურნავენ სურნელოვანი მცენარეები

წელს ქვეყნის ფარმაცევტულმა საწარმოებმა საქართველოდან მიიღეს სამკურნალო თვისებების მქონე რამდენიმე ათეული ტონა ეთეროვანი ზეთები. ეს არის ევკალიპტის, დაფნის, ქაფურის, რეკანის, პიტნისა და სხვა მცენარეების ზეთები.

— საქართველოში მზადდება დაახლოებით 20 სახეობის ეთეროვანი ზეთი, აქედან ნახევარზე მეტს ფარმაცევტული მიზნებისათვის იყენებენ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ მმართველმა რ. ჯაფშვილმა. — სამკურნალო ზეთებს, რომლებიც ახლა რუსპუბლიკის ეთერზეთოვანი წარმოების მრეწველობის 25 პროცენტს შეადგენენ, ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვაგვარი სამკურნალო ზემოქმედება ახასიათებთ.

გაერთიანების სპეციალისტები ამუშავებენ სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის ახალი ძვირფასი ეთერზეთების წარმოების ტექნოლოგიას. ახალ ზეთებს შორისაა ფარსმანდუკის, გვირილის, ამბროზიის, ანწლისა და სხვა მცენარეების ზეთები, რომლებიც თავიანთი აქტიური ბიოლოგიური თვისებებით ფარმაცევტთა მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

დანაშაულის კვალდაკვალ

ავბედითი რეისი

ეს ამბავი მარტის პირველ რიცხვებში მოხდა. საღამო ხანი იყო, კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სარწმუნო სიგნალი მოვიდა, გვაცნობებდნენ — სოფლანლუღის გზატეხილზე სატვირთო ავტომანქანა გაიცლის სომხეთის ნომრით, დატვირთულია ვაშლით, ჯორადან ერევანში მიაქვთ საეჭროდო.

ღამის ორ საათს გადასული იქნებოდა, რომ აღნიშნული მანქანა — 11-53 არმ, რომელსაც მძღოლი რუდიკ გრიგორიანი მართავდა, დავაკავეთ კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა. ტვირთი — 195 ყუთი ვაშლი, 5.388 კილოგრამი, ნოდარ და როინ ინაურებს, თენგიზ ბეთლემიშვილსა და ზურაბ ფალელიშვილს ეკუთვნოდათ. ვინ არიან ისინი?

როინ ინაური და ზურაბ ფალელიშვილი არსად არ მუშაობენ, ნოდარ ინაური გორის რაიონის სოფელ ქვემის საშუალო სკოლის დარაჯია, თენგიზ ბეთლემიშვილი — ამავე სოფლის სანერგე მეურნეობის მუშა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მანქანა ეჩმიაძინიდან კრასნოდარისაკენ მიემართებოდა ტვირთის ჩამოსატანად, და აი გორში სასურველი გარიგების შემდეგ გზი იცვალა, ერევნისაკენ ებრუნა პირი. საბუთები გაფორმებული იყო მარნეულამდე, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემულ ცნობაში აღნიშნული იყო — ვაშლი მიაქვთ თბილისის საკოლმეურნეო ბაზარში.

ახსნა-განმარტებისას ტვირთის მფლობელებმა რ. და ნ. ინაურებმა, ზ. ფალელიშვილმა და თ. ბეთლემიშვილმა ჯერ უარი თქვეს, ეს ვაშლი ჩვენი არ არისო, მაგრამ შემდეგ განაცხადეს ვაშლი ჩვენია და მიგვაქვს ერევანშიო. მძღოლი რ. გრიგორიანიც თავს იკატუნებდა და საბუთად ფოჭყავდა მარნეულამდე გაფორმებული საგზური, მაგრამ ამან ფაქტის არსი ვერ შეცვალა.

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილებით აღნიშნულ პირებს ვაშლი ჩამოერთვა და სარეალიზაციოდ თბილისბოსტანეკონრომს გადაეცა.

შ. ხვედელიძე,
კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელი.

მსოფლიოს პირველობაზე

მატჩი გიჭვინთაში გაიმართება

ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძე

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონმა, დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა და მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტმა, დიდოსტატმა მაია ჩიბურდანიძემ ხელი მოაწერეს მსოფლიოს პირველობაზე მათი მომავალი მატჩის პირობებს.

მატჩი გაიხსნება 18 აგვისტოს ბიშკეკში, 19 აგვისტოს კი გაიმართება პირველი პარტია. მატჩი შედგება 16 პარტიისაგან. თავისი წოდების შესანარჩუნებლად მსოფლიოს ჩემპიონმა უნდა მოაგროვოს 8,5 ქულა ან 8 ქულა, ე. ი. მატჩის ყაიმით დამთავრებაც აძლევს ხელს. რაც შეეხება ჩიბურდანიძეს, მან აუცილებლად მოგებისათვის უნდა იბრძოლოს.

კვირაში დანიშნულია 3 შეხვედრა. პარტიის შემდეგ ყოველი მომდევნო დღე, თუკი საჭირო გახდა, განკუთვნილი იქნება გადადებული პარტიის დასამთავრებლად. თუ კი ერთ დღეს საჭირო გახდა ორი გადადებული პარტიის დამთავრება, ჯერ მეტოქეები უფრო ადრეულს დაასრულებენ. პარასკევობით შეჯიბრების მონაწილეები დაისვენებენ.

თითოეულ მხარეს აქვს 3 პარტიის გამოტოვების უფლება.

მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ოფიციალური სკკუნდანტი იქნება დიდოსტატი ივარ გიპლისი (რიგა), მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ მაია ჩიბურდანიძისა — დიდოსტატი თამაზ გიორგაძე (თბილისი). მათ გარდა ჩემპიონთან და პრეტენდენტთან ნებადართულია კიდევ თითო სპეციალისტის თანამშრომლობა. სეკუნდანტის ან მწვრთნელის ავადმყოფობის შემთხვევაში შეიძლება მათი შეცვლა.

მსოფლიოს პირველობის მატჩის მთავარი არბიტრი და მისი მოადგილე ჯერჯერობით დანიშნული არ არის. მათი გვარები, მეტოქეთა თანხმობის შემდეგ, მოგვიანებით გამოქვეყნდება.

გ. გამრეკელი.

ლ ო ვ ი ს ფინალური

დაიწყო მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი 15 გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის მონაწილეობით.

პირველ ტურში ქულა მხოლოდ ერთმა მონაწილემ — ბალაშოვმა (მოსკოვი) მოიპოვა. მან როგორც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კარტი (ლვოვი) მიიჩნევს, ჩინებულად წარმართა მთელი შეხვედრა დორფმანთან (ლვოვი). დორფმანმა დიდი მატერიალური ზარალი ნახა და 25-ე სვლაზე დანებდა. დაბავდნენ ბაგიროვ-ტუმანოვი, კოჩიევ-რომანინი, გელერ-ცეშკოვსკი, სმისლოვ-სვეშნიკოვი და ვასანიანი-სავონი. ერთი პარტია გადაიდო: ბელიავსკის პოზიციური უპირატესობა აქვს გულკოსთან. კოზმინი პირველ ტურში ისვენებდა. შეჯიბრების დაწყების წინ ცნობილი გახდა, რომ მასში მონაწილეობას არ მიიღებს მ. ტალი.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

დღეს პირველი მატჩია

სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი

მაშ ასე, სტარტი ეძლევა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატს. დღეს პირველი და ერთადერთი შეხვედრა გაიმართება დნეპრო-პეტროვსკში ადგილობრივ „დნეპრსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. ხვალდან კი უმაღლესი ლიგის დანარჩენი კოლექტივები ჩაებმებიან ასპარეზობაში.

დიდი ანგარიშით

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ ერევანში სსრ კავშირის ნაკრებმა ფინეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა დიდი ანგარიშით (10:2). ასევე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ამ ქვეყნების ახალგაზრდული გუნდების შეხვედრაში საბჭოთა ფეხბურთელებმა — 6:0 (2:0). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ნაკრებში მოწვეული იყვნენ თბილისის დინამოელები შენგელია და დურდიაძე. შენგელიამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო და ორი გოლიც გაიტანა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე

დაუმარცხებლად

გაიმართა რუსპუბლიკის ჩემპიონატის მორიგი, მეშვიდე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„მაღაროელი“ (ჭიათურა) — 3:0, „ჩიხურა“ (საჩხერე)-„მზეთრი“ (გალი) — 0:0, „ნაღიკანარი (თელავი)-„სპარტაკი“ (თბილისი) — 1:1, „კოლხეთი“ (ხობი)-„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — 0:0, „კოლხეთი“ (ფოთი)-„იბერია“ (ქარელი) — 4:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 3:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი)-„ივერია“ (ხაშური) — 0:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„ამირანი“ (ონიამჩირე) — 1:2, „დურუჯი“ (ყვარელი)-ასკ (თბილისი) — 1:0, „შერცხალი“ (მახარაძე)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 3:1.

ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს ფოთის „კოლხეთი“. ფოთელებს 14 შესაძლებლიდან 13 ქულა აქვთ.

ვ. შავდია.

კალათბურთი

დიდი ოთხეულის ტურნირი

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, კუბისა და აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები. ატლანტაში სსრ კავშირის სპორტსმენები შეხვდნენ ევროპის ჩემპიონებს იუგოსლავ კალათბურთელებს. გამძარჯვეს იუგოსლავებმა ანგარიშით 97:79 (50:42). კარგად ითამაშეს დალიპაგიჩმა და ანჩინოვიჩმა. პირველმა თვეის გუნდს 28 ქულა მოუტანა, მეორემ — 26. საბჭოთა ნაკრებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდათ ეიგლეიის (18 ქულა) და მიშკინს (16). აშშ-კუბის შეხვედრის შედეგია 109:64 (56:21).

წყალბურთი

ორივე მეტოქეს — წაგება

მინსკში, წყალბურთელთა ხაკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურნირის მეოთხე დღეს თბილისის „დინამო“ დამარცხდა ხარკოვის „ლოკომოტივთან“ ანგარიშით 4:5. აღსანიშნავია, რომ კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდების შეხვედრის დროს ორივე კოლექტივის წყალბურთელებმა „თავი გამოიჩინეს“ არასპორტული საქციელით და ამის გამო ერთსაც და მეორესაც წაგება ჩაეთვალათ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი)-უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 5:5, „მეზნატი“ (ტაშკენტი)-„დინამო“ (კიევი)—5:4, „დინამო“ (ლვოვი)-„დინამო“ (ალმა-ათა) — 3:3, „მოსკვიჩი“ მოსკოვი)-სკიფი (მინსკი) — 10:6.

ჩემპიონატს ლიდერობენ მოსკოვის დინამოელები. მათ 18 შესაძლებლიდან 16 ქულა აქვთ.

სპორტის მეგობრებს

თბილისის მე-16 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობენ შამპანური ღვინოების კომბინატის, მექანიკური და კონიაკის ქარხნების, ჩაის საწონი ფაბრიკის მუშათა შვილები, ძალიან უყვართ სპორტი.

სკოლის სპორტული დარბაზი ცარიელი არასოდეს არ არის. ბავშვებთან დიდი ენთუზიაზმით მეცადინეობენ ფიზკულტურის მასწავლებლები ი. ფილიპჩუკი და ა. ბესტაევი. ყველაზე პოპულარული კალათბურთისა და აკრობატიკის სექციებია. სპორტის მასწავლებლებმა უკვე აღზარდეს ბევრი თანრიგოსანი.

სურათზე: ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ბესტაევი და მისი ნორჩი ალბაზრდელები ვარჯიშის შემდეგ.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტელევიზია

7 აპრილი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 09.30 — მხატვრული ფილმი „ჩემი მშვენიერი რობინზონი“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.30 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“ — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროგრამაზე“, 18.00 — განცხადებები, 18.05 — შვილსწავლოთ ფრანგული ენა, 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯანმრთელობის პირველი კომისარი“, 19.05 — „7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა“, 19.40 — „საუბრები მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციის პროექტზე“ (მოსკოვიდან), 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — „ცირკის მოყვარულთათვის“ (ფერადი), 21.00 — „ზამბეგ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული რომანსები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ხპორტული კალეიდოსკოპი“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — „მასწავლებლის საათი“ — ფიზიკა, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხარასავი — გამოცდის ჟამი“ (ფერადი), 19.05 — განცხადებები, 19.10 — მხატვრული ფილმი „გამარჯვებული“ (ფერადი), 20.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „თეორი ვიზიტი“, „არგუმენტი სკალელის წინააღმდეგ“, „ოცნების ერთგული“.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

8 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 7 აპრილს დილის 10 საათიდან. საერთო გაყიდვა — სტადიონზე, № 7-დან მე-16 სალაროს ჩათვლით 8 აპრილს დილის 10 საათიდან.

რადიო

8 აპრილი

პირველი პროგრამით

06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.10 — განცხადებები, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.33 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — რ. გლიერი, ბალეტ „ზითელი ყვავილის“ ნაწყვეტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 10.05 — „გამარჯობა, ამხანაგო“ (მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „მეგობრები გვიზიარებენ გამოცდილებას“ საუბარი „მშრომელთა კომპლექსური აღზრდა“, 12.20 — კონცერტი ს. ცინცაძის ნაწარმოებებიდან, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები (მოსკოვიდან), 13.30 — გ